ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N97

2018 წლის 25 მაისი
ქ.ქობულეთი

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 მაისის N01/4932 მომართვის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში შეტანილ იქნას ცვლილება და დაემატოს თანახმად დანართისა.

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

დანართი

| N | ქონების დასახელება | საკადასტრო კოდი | აუქციონის ფორმა | საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი) | ბე (ლარი) | ბიჯი (ლარი) | შეძენილი ქონების ღირებულების გადახდის პერიოდი | გეგმის განხორციელების პერიოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 1 | ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში მდებარე 1524,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 498,40 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობა | 20.38.02.054 | პირობებიანი აუქციონი _ სამაცივრე და ციტრუსის დამამზადებელი საწარმოს მშენებლობა | 28000 | 5600 | 7000 | გამარჯვებიდან ერთი თვის ვადაში | 2018 წლის მესამე კვარტალი |